S72
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილა

„ჩაგავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, იყვით მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
ხასიათით გაახარეო!“

№ 8

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა
ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

აგვისტო
1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლკავშირი

სწავლაში—გონიერია,
შრომაში—ლონიერია,
ბრძოლაში—გმირთაგმირია,
საქმეში—პირდაპირია!

სად გრდემლია და ჩარხია,
სად გასაჭრელი არხია,
ცაში, ზღვაში თუ მთებზეა,—
პარტიის თანაშემწეა!

მისი დიადი დროშები
დღეს ყველგან შორს გაშლილია!
ვინ არის?—ვკითხე პატარებს.
შემძახეს: —კომკავშირია!

რადგან ყოველი სიკეთე
იცით უფროსი და-ძმების,
მწამს, მოედება სამშობლოს
ხვალ თუ ზეგ თქვენი რაზმებიც!

არ დაიშურებთ შრომას და
არ დაიშურებთ ძალ-ლონეს!
მწამს, გაიზრდებით, კარგებო,
ხალხის და ქვეყნის გამგონე!

მურმან ლებანიძე
ნახატი გიორგი თოთიბაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

8010

მაჯარებელი

კუკური გოგიაშვილი

პატარა მატარებელი
დაქრის, დღეა თუ ღამეა,
პატარა კონდუქტორი ჰყავს,
პატარა მემანქანეა.
—ჩუქ-ჩუქ!—გასძახის ბალნარში,
—დელავ!—ბავშვები მღერიან.—
რად დადგა მატარებელი?
სადგური „პიონერია“.
პატარა მატარებელი
პატარა მგზავრებს ახარებს,
მშობელს, პიონერს, ოქტომბრელს
ყველას ხალისით ატარებს.
ქოშინით მიდის ალმართში,
დახეთ, რა ლონიერია.
—გუ-გუ!—დაეშვა დალმართში,
—ტაკ-ტუკ!—ბორბლები მღერიან.

მეგობრები

გრიგოლ ცეცხლაძე ნახატები ბ. როინიშვილისა



ნოდარი და ვანო განუყრელი მეგობრები იყვნენ. თუ დინჯ ნოდარს საუბარში ვინმე დაიჯაბნიდა, ვანო დაეხმარებოდა თავისი მოსწრებული სიტყვა-ჰასუხით. თუ ვანოს ვინმე ღონით დაჩაგვრას დაუპირებდა, ნოდარი მიეშველებოდა და მოწინააღმდეგეს მაშინვე უკან დაასვენებდა.

ერთ დღეს ნოდარი ვანოსთან იყო და ეზოში ბურთს თამაშობდნენ. უცბად ნოდარმა ბურთს ღონიერად დაარტყა და ვანოს ოთახის ფანჯარა ჩაამსხვრია. ნოდარი შეწუხდა, ვანომ კი დაამშვიდა:

— განგებ ხომ არ ჩაგიდენია, უცაბედად მოგივიდა!

შემდეგ დედასთან გაიქცა, რომელიც იმ დროს სამზარეულოში იყო და ფანჯრის ჩამტვრევა არ გაუგია.

— ჩემო დედა,—მიმართა ვანომ,—ერთი დანაშაული ჩავიდინე და უნდა მაპატიო! მე და ნოდარი ეზოში ბურთს ვთამაშობდით და უცაბედად ჩვენი წინა ოთახის ფანჯარა ჩავამტვრიე.

— არა გრცხვენია? აკი იმას გეუბნები, ზედმეტი ცელქობა არ ვარგა, ასეთი რამე ნოდარს ხომ არ მოუვა! დაკვირვებული, წესიერი ბიჭია და იმიტომ!

ვანოს დედის სიტყვები ნოდარს ესმოდა, თავს უხერხულად გრძნობდა და წითლდებოდა. მერე მათ მიუახლოვდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა. ვანოს დედამ იფიქრა, ალბათ გამოსარჩლება უნდაო, და ვანოს უთხრა:

— კარგი, მიპატიებია! მხოლოდ გახსოვდეს, ეს უკანასკნელი იყოს. ნოდარის სათრით ახლა აღარ დაგსჯი, მაგრამ სხვა დროს თუ კიდევ ჩაიდენ, იცოდე, ორმაგად დაისჯები.

გიორგი ირემაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპერაცია

გსურს რაკეტა გავაკეთოთ,
და გავფრინდეთ ბევით?
მაგრამ ორნი ერთ მთვარეზე
როგორ დავეტევით?!

მეორე დღეს ვანო ნოდართან იყო, ერთად მეცადინეობდნენ. ნოდარის დედამ ბავშვებს ხილი გაამოუტანა და ვანოს შეეკითხა:

— გუშინ თქვენთან ფანჯარა ვინ ჩამტვრია?

— მე ჩავამტვრიე, დეიდა მარო!—სწრაფად უპასუხა ვანომ,—უცაბედად მომივიდა.

— უცაბედად კი არა, იმიტომ მოგივიდა, ჩემო ვანო, რომ მეტისმეტად დაუფიქრებელი ხარ. თუ ასეთ საქციელს არ მოიშლი, ნოდარს ნებას არ მიეცემ, შენთან იმეგობროს.

ნოდარს ცრემლები მოერია და ტირილი მორთო.

— რა მოგივიდა?—შეეკითხა გაოცებული დედა.

— ფანჯარა ვანოს არ გაუტეხია, მე ჩავამტვრიე!

ზღაპარი და სინამდვილე

ნახატები ირაკლი ართმელიძისა

ვ. ი. ლენინის პორტრეტი ამოჭრილი წიფლის ხეზე

ეს ნამუშევრები თქვენმა თანატოლებმა გააკეთეს. როგორც კი მე-9 რესპუბლიკური კონკურსისათვის მზადება გამოცხადდა, მოსწავლეები მთელი გულმოდგინებით შეუდგნენ მუშაობას. ყველა იმაზე ფიქრობდა, რა გავაკეთო ისეთი, რომ გამოფენაზე არ შევრცხვეო. აი, დამთავრდა მზადება და გაიხსნა შემაჯამებელი გამოფენა, სახელწოდებით — „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლას“. იგი ლენინის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სამოცდაათი რაიონის ოცდაათი ათასმა მოსწავლემ. ბევრმა ნამუშევარმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ზოგიერთი მათგანი მოსკოვშიც კი გაგზავნეს და ჯილდოზე წარადგინეს.

აი, თქვენ აქ ხედავთ ჰიდროტურბინის მოქმედ მოდელს, რომელიც თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის წრის წევრმა ბეჟან ანთიძემ დაამზადა. როგორც კი დენი ჩაირთვება, ჰიდროტურბინის ქვედა ნაწილში მოთავსებული აუზიდან წყალი ამოიტუმბება, აამოძრავებს ტურბინს და წარმოიქმნება ელექტროენერგია.



ელექტროპიანინო

ეს ელექტროპიანინო კი სოხუმის პირველმა საშუალო სკოლამ გამოგზავნა გამოფენაზე. როგორც ხედავთ, ზედ კლავიშებზე ლილაკებია მოთავსებული. კლავიშების ნაცვლად ეს ლილაკები მოძრაობს. დააჭერთ თითს ლილაკებს და სხვადასხვა ბგერებს გაიგონებთ. ეს ბგერები რადიო-ტალღების საშუალებით გამოიცემა.



ჰიდროტურბინა



კოსმიური თვითმფრინავი

ლენინის სურათები წარმოადგინა კოჯრის სკოლა-ინტერნატმა. მოსწავლე ნიკოლოზ კახიანმა ლენინის პორტრეტი ფირფიტაზე ამოსწვა; ხოლო იური სარიჩევმა წიფლის ხეზე ამოჭრა დიდი ლენინის სახე.

ხის ალბომი ახპინძის რაიონის სოფელ იდუმალის სკოლის მოსწავლეებმა ე. და ი. ნარიმანიძეებმა გამოგზავნეს. ალბომი მიძღვნილია ლენინისადმი. ყდაზე აწერია კიდეც „ლენინს“. ხე ისეა გამოკვეთილი, რომ ერთი შეხედვით ნამდვილი გადასაშლელი ალბომი გეგონებათ.

ეს კოსმოსური თვითმფრინავი თბილისელ ბავშვთა კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია. აი, ასეთი თვითმფრინავი წარმოუდგენიათ ბავშვებს კოსმოსში გასამგზავრებლად.

საინტერესო ნამუშევარი გამოგზავნა ზესტაფონის ნორჩ ტექნიკოსთა წრემ. ამ ნაშრომს ჰქვია „ზღაპარი და სინამდვილე“:

მაღალ მთაზე მიუვალი ციხე-კოშკია წამომართული. აბა, როგორ ახვალთ ზედ, როცა მთის გარშემო წყლის არხია შემოვლებული. ხიდი კი არსად ჩანს. შესძახეთ

რადიოფიცირებული ციხე-კოშკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოშკს, როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე. და მართლაც, როგორც კი გაისმის ხმა:— „კარი გაგვიღეთ!“ წყალზე ნელ-ნელა დაეშვება ხიდი და რკინის ალაყაფის კარი გაიღება. ხიდის დაშვება და კარის გახსნა ნუ გაგაკვირვებთ, იგი რადიობგერების საშუალებით ხდება.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ სხვა ბევრ ნამუშევართან ერთად რაკეტოდრომიც მოიტანა გამოფენაზე. ალბათ ყველას გინახავთ აეროდრომი, საიდანაც თვითმფრინავების აფრენა ხდება. ასე წარმოუდგენია ბავშვებს რაკეტოდრომიც, საიდანაც მომავალში რაკეტების გაშვება მოხდება. ბავშვებს, ეტყობათ, ბევრი უფიქრიათ ამაზე და უბრალო წვრილმანიც არ გამორჩენიათ. აი, ეს სამანქანო გზებია, საიდანაც ტვირთს შემოზიდავენ. თვითონ მოედანი ბეტონისაგან არის გაკეთებული. აქ ლიფტია მოთავსებული, რომელსაც ხალხი აჰყავს რაკეტაში ჩასასხდომად.

ლეილა ერაძე



რაკეტოდრომი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალმა-დალმა

თინათინ კვირიკაძე

ჩემისთანა სამგზავრო გზა
ვის უნახავს, აბა, ვისა?
არც ფრთები აქვს თვითმფრინავის,
არც ბორბლები მანქანისა.
რონოდა ვარ საბაგირო,
შემეტყობა განა დალლა!
რკინის თოკზე გამობმული
დავსრიალებ ალმა-დალმა.
დღეს კვირაა. აბა, ჩქარა,
სასეირნოდ მოემზადეთ,
მთაწმინდიდან ჩამოგიყვანთ
რუსთაველის მოედანზე.

ნაქარგი

ზაქარია შერაზადიშვილი

ეს მეზობლის მარინე
რა მარჯვეა, რა კარგი,
მოდით, ნახეთ ბალიში
მისი ხელით ნაქარგი.
ამოქარგა ჩიტები,
გეგონებათ ნამდვილი,
ეს ხელსაქმე არავის
არ გეგონოთ ადვილი.
შეარჩია ძაფები,
შეახამა მშვენივრად,
ედა მხოლოდ გოგონას
დარიგებით შველოდა.

თერმომეტრი

ვლადიმერ ალფენიძე



გივი სახლში ბრუნდებოდა
კუნტრუშით და ცეკვითა,
ნახა გარეთ, ფანჯარასთან,
თერმომეტრი ეკიდა.
თანატოლებს დაუძახა,
ეზო შესძრა პატარამ:
— ნახეთ, სიცხეს უზომავენ,
ქუჩა ავად გამხდარა!

ნახატები თ. სამსონაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლახა

ბორის ჩხეიძე

ნახატები შალვა ცხადაძისა

პატარა დაბის სკოლაში ბევრი მოსწავლე დადიოდა ერთად. ისინი თავს იყრიდნენ მახლობელ ქუჩებიდან. ელისო მასწავლებელი ყველას სათითაოდ იცნობდა.

ბავშვებს ქეთინო, გოგი, თამრო, ზურა, დათუნა, თინიკო და კიდევ სხვა მოფერებითი სახელები ერქვათ.

ელისო მასწავლებელი კი მათ მხოლოდ სწორ სახელებს ეძახდა: ქეთინოს—ქეთევანს, ზურას—ზურაბს, თამროს—თამარს.

მაგრამ ერთ ბავშვს უჩვეულო სახელი—გლახა ერქვა.

ამხანაგები ხან გელას, ხანაც გიგლას ეძახდნენ, არ უნდოდათ გლახა გაეგონებინათ მისთვის, მაგრამ მიზანს მაინც ვერ აღწევდნენ. შემოვიდოდა მასწავლებელი გაკვეთილზე, გადაშლიდა ჟურნალს, ამოიკითხავდა:

— გლახა გაგაშვილი!

— აქ ვარ!—მიუგებდა ისიც.

ამხანაგები უმალვე მიიხედავდნენ მისკენ. გლახა დინჯად იჯდა მერხზე. ყოველთვის კოხტა, სუფთა შარვალ-ხალათი ეცვა. თავიც სამაგალითოდ ეჭირა. არასოდეს ავიწყდებოდა კალმისტარი, ფანქარი, მელანი და წიგნები.

— ნეტავი გლახა არ ერქვას!—დანანებით ჩაულაპარაკა ერთხელ ქეთევანმა ამხანაგებს.

ქეთევანი ყველაზე მეტად მეგობრობდა გლახას. ისინი ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ერთად დადიოდნენ სკოლაში. მეგობრობის მიზეზი სხვაც იყო: ქეთევანს ძალიან აშინებდა წკავწკავა ფინიები, ღავღავა ნაგაზები, სუნსულა მეძებრები. ეს იცოდა გლახამ. როგორც კი ძაღლები მიუახლოვდებოდნენ გოგონას, ბიჭუნა მაშინვე დასჭყივლებდა მათ და გააქცევდა.

გლახას სხვარიგადაც იცნობდნენ სკოლაში. გაყოფა—გამრავლება, გამოკლება—მიმატება, გამოცანები, ენის გასატეხები, ლექსები ოსტატურად ეხერხებოდა.

ამიტომ სწყინდათ ამხანაგებს, ასეთ ბიჭუნას ცუდი სახელი რად ჰქვიაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შევუცვალოთ სახელი! — მოაგონდა ზურაბს.

— შევუცვალოთ!—შესძახეს ყმაწვილებმა.

— მასწავლებელი არ დაგვეთანხმება, ჟურნალში გლახა სწერია,—შეწუხდა ქეთევანი.

ყმაწვილები ჩაფიქრდნენ.

— თვითონ გლახას ვკითხოთ, უნდა თუ არა სახელის გამოცვლა!—ურჩია ყმაწვილებს ამ საუბარზე შემოსწრებულმა ელისო მასწავლებელმა.

— რატომ?—გაოცდა გლახა, როდესაც ყმაწვილები ამაზე შეეკითხნენ.

— გლახა ვერ დაგვიძახია.

— მე მიხარია, როცა ამ სახელს მეძახიან. გლახა პაპაჩემს ერქვა. დიდედამ მითხრა, პირველ დიდ ომში დაიღუპაო. მამაცი მებრძოლი იყოო. ამიტომ მხოლოდ ეს სახელი დამიძახეთ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ელისო მასწავლებელი წამოდგა.

—მოიცა, მოიცა,—უთხრა მან,—შენს პაპას ხომ გიორგი ერქვა. გლახას, ალბათ, შინაურობაში ეძახდნენ.

— გიორგი, გიორგი დავუძახოთ,—თქვეს ბავშვებმა.

გლახამ თავი ასწია და გაიღიმა:

— კარგი, ეგრე იყოს!

— თუმცა, — დასძინა მასწავლებელმა,— გლახა გამრჯე, თავაზიანი ბიჭია და თვითონ დაამშვენებს თავის სახელს, რაც არ უნდა დავუძახოთ.

თუკი ზღარბი ხარ, რად არ დადიხარ?!

ნახატი ლ. სამუილოვისა

ბელორუსულ ჟურნალ „ვიასიოლკა“-დან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატო
პატარა არ გეგონოთ

ბლანკა ღონაბი

მხატვარი პალ კოლოსვარი

— პეტრე!—დასჭყივლა კატომ და უფროსი ძმა ძლივს გამოაღვიძა,—მოდი, ჩამაცვი! უჰ, რამდენი გვძინებია!...



— მმმ!..—ჩაიბურტყუნა ბიჭმა, — განა არ შეგიძლია შენი ხელით ჩაიცვა? პატარა ხომ აღარ გგონია თავი!

დედას სკამზე ლამაზად დაეწყო კატოს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. მაგრამ როგორ უნდა გაიგო, რომელი რომელი ფეხისაა, ან თასმები როგორ უნდა შეიკრას!

— თუ შენი ხელით ჩაიცვამ, ფერადებს გაჩუქებ,—წააქეზა ძმამ.

ოჰ, რა კარგია ფერადები!—ფიქრობდა კატო და აჩქარებით იცვამდა პერანგს.

— ჯერ დაბანა არ გინდა?—ჰკითხა ძმამ სიცილით.

კატომ ისევ გაიხადა პერანგი, წელზე პირსახოცი შემოიხვია და გაბედულად წავიდა დასაბანად.

— კატო არ ტირის!—აგულიანებდა პეტრე.

— კატო არ ტირის!—იმეორებდა გოგონა ყოჩაღად. და მართლაც არ ტიროდა, თუმცა ონკანიდან ძალიან ცივი წყალი მოდიოდა.

ახლა ჩაცმის ჯერი დადგა. ლიფის ღილების შეკვრაში პეტრეც მიეშველა.

— უკვე მზად ვარ!—წამოიძახა ბოლოს კატომ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მართლა?!—ჰკითხა პეტრემ და უნებურად ფეხებზე დახედა.

— უი, ფეხსაცმელი დამვიწყებია!—და გოგონა ნოხზე დაჯდა.

რის ვაივაგლახით ჩაიცვა, მაგრამ ფეხსაცმლის წვერები გან-გან იხედებოდნენ. თურმე ნუ იტყვით, კატოს ცალ-ცალი ჩაუცვამს. ესეც გამოსწორდა. ახლა თასმების შეკვრას შეუდგა.

— როგორ უნდა გავუყარო?—ეკითხებოდა ძმას კატო.

— აი, ასე!—ასწავლიდა ძმა.

ის-ის იყო კატომ თასმების გაყრა მოათავა, რომ დედაც შემოვიდა.

— შენ თვითონ ჩაიცვი?—გაეხარდა დედას.

— იცი, თასმებს ბოლოში წებოს წავუსვამ და ასე აღარ გაგაწვალებს,—დაუმატა პეტრემ მზრუნველად.

კატო მაშინვე მიუჯდა ფერადებს და დახატა ბევრი, ბევრი ყვავილი და ოქროსფერი მზე.

ეს ძალიან კარგი დღე იყო, რადგან კატომ პირველად ჩაიცვა თავისი ხელით.

უნგრულიდან თარგმნა ლ. ჩიგოგიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტირალა

ნიკოლოზ კევლიშვილი

ნახატი შ. ცხადაძისა

პატარა ასმათს მეგობრები ეწვივნენ. მასპინძელს გაეხარდა სტუმრების მოსვლა და მანანას უთხრა:

— მოდი, ვითამაშოთ! მე და შენ ბაჭიები ვიყოთ, მარინე კი—მგელი.

მარინემ ამის გაგონებაზე ტირილი დაიწყო:

— თქვენ ბაჭიები უნდა იყოთ და მე—მგელი? არ მინდა!

— კარგი, მარინე, ნუ ტირი. მე და ასმათი მგელი ვიქნებით, შენ კი ბაჭია იყავი,—დაამშვიდა ასმათმა.

მარინემ ახლა ამაზე მორთო ღრიალი:

— მე მარტო არ მინდა ბაჭიააა!.. მეც მგელი მინდა ვიყო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის-ის იყო მიეწია,
წვრილ ქეჩოში მისწვდა კიკოს,
რომ მოესმა:—იქით წადი,
კიკო უნდა ჩემი იყოს!—
ვისი ხმაა?!. პნელ ტალღებში
ჩაანათა თვალი ლურჯამ;
ცხენმხედარი გამგელებულ
ზვიგენს ბეწვზე გადაურჩა...
— ორივ ჩემი საკბილო ხართ,
შემეჭიდე, თუ გაქვს ღონე.
კიკოს-ყლაპ! და ცხენიანად
უმალ ზედვე მიგაყოლებ!—
ეს—ზვიგენი ზორაბელი
ზღვის ყაჩაღი დახვდათ წინა.
არ შეშინდა ჭანჭიკელა,
ხმალი იძრო პაწაწინა.

მაყვალა მრევლიშვილი

ჭანჭიკა ზღვისქვეშეთში

ბურაობა მეც მინდაო,—
აგვიხირდა ერთხელ კიკო,
როცა თავის მეგობრებთან
საბანაოდ ზღვაზე იყო.
ეხვი ვახო არიგებდა:
—წყალში შენ ვერ გაცურავო,
კალისაგან ჩამოსხმული
ხარ ლითონის კაცუნაო.—
ფისუნია კატინამ თქვა:
—გიჯობს, ხიფათს გაერიდო,
ცხელ სილაზე იგორავე,
დავტკბეთ სუფთა ჰაერითო!—
ჯიუტს ვერა ასმინეს რა
ტოლებმა და ბიძიებმა...
გაადინა ტყაპანი—და
ტყვიასავით იძირება...
წიოკობა შემოესმა,
იქვე გაჩნდა ჭანჭიკელა,
ავტორაშზე შემომჯდარი
გადაეშვა ზღვაში ხელად.

—ვერ მომტაცო ძმობილიო!—
შეუტია ხმალდახმალა,
კუდი გაჰკრა ზორაბელმა,
პანტაპუნტით გადაყარა.
ვაგლახ! უცბად ხელში შერჩა
ხმლის ნამტვრევი-ნაფოტები
და ელექტროშუბი სტყორცნა
შიგ ხაშაში გაფოთებით.
შუბგაყრილმა ზორაბელმა
გაითრია ყმაწვილები,
გზაგზა ჰკარგა ჭანჭიკელამ
ლურჯა ცხენის ნაწილები.
ფიცხელი და საშინელი
გადიშალა ბრძოლის ველი,
გადაასკდათ ჭირის ოფლი,
ისე ჰქრიან ორივენი.
ჭანჭიკელამ პროჟექტორით
დააბრმავა ზორაბელი...
ზღვაზე ატყდა ქარიშხალი,
მათი ბრძოლით მონაბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღვისქვეშეთი აწრიალდა:
—ზვიგენს დასცხეს, როგორც იქნა!..
მივეხმაროთ ამ ვაჟკაცებს,
გმირებია ერთი ციცქნა!—
დაშნათევზი, ეროთევზი
ზვიგენს სდევენ გამალებით,
ბევრიც ურტყეს, მოატარეს
ხამანწკების ტრამალები.
ზღვის კატები გაეკიდნენ,
ზღვის გოჭები ო, რამდენი!
თურმე მრავალს აშინებდა
ავაზაკი ზორაბელი.
—რაც კი ჩვენზე ინადირა,
ახლა თვითონ იგემოთ,
ყველას თავი მოგვაძულა
მაგ ბოროტმა ზვიგენმაო!—
ჭანჭიკა კი შეგვიწუხდა:
—გამითენდა ავი დღეო,
ჩემი ლურჯა დამეფუშა,
ხმელეთზე რით ავიდეო!—

დატრიალდნენ ზღვის ცხენები:
—ჩვენი მხსნელი ატირდაო,—
მოუგროვეს ნაწილები
და ააწყვეს სათითაოდ.
გაგიგიათ სკაროსები?
ელექტრონის თევზებია!..
გააჩაღეს მუშაობა,
ავტოლურჯას ესევიან...
თქვეს:—ელექტროშედუღება
მანდ, სახსრებში სადღაც უნდა,—
მიუმარჯვეს ელდენი და
ნაპერწკლებიც ატკაცუნდა.
გაისტუმრეს ჭანჭიკელა:
—გზა მშვიდობის, ნათესავო,
ერთიათად მოგეზღვება,
თუ სიკეთეს დათესავო!

ნახატები ჯემალ ლოლუასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოჯინა

ქეთევან ჭილაშვილი ნახატები ბ. როინიშვილისა

— რა ლამაზიაა!..—წამოიძახა ნუნუმ და თავის დას უფრო ახლოს მიუჯდა.

— ჰო, ლამაზი თოჯინა გამოვიდა. ახლა ამ წითელი ქაღალდისაგან კაბასაც შევუკერავ და უფრო გალამაზდება!—მიუგო თინამ და ქაღალდს მაკრატელი დაადო.

— მაჩუქე რა, – სთხოვა ნუნუმ, — აკი მითხარი, ახლა ოქტომბრელი ვარ და აღარ გაწყენინებო?

— ჩემი არ არის, ჩვენი ვარსკვლავისაა, თოჯინების თეატრისათვის ვამზადებთ. აბა, როგორ გაჩუქო?—იუარა თინამ, თოჯინა პიანინოს თავზე შეინახა და თვითონ ეზოში ჩავიდა სათამაშოდ.

როგორც კი თინა ოთახიდან გაიგუდა, ნუნუმ ტახტზე პატარა სკამი აიტანა, ზედ შედგა და რის ვაივაგლახით მისწვდა თოჯინას. აქეთ ატარა, იქით ატარა, აივანზედაც გაასეირნა, მერე დასაძინებლად თავის ბალიშზე დააწვინა და თვითონაც გვერდით მიუწვა.

— დედიკო, ჩემი თოჯინა არ გინახავს?—იკითხა სახლში ასვლისთანავე თინამ.

— არ მინახავს,—მშვიდად მიუგო დედამ.

— მაშ რა იქნა, აი, იქ დავდე,—აბზუკუნდა გოგონა, მაგრამ რალად უნდოდა პასუხი. ნუნუს პატარა სკამი ტახტზე დარჩენოდა და ესეც არ იყოს, ვინ აიღებდა მის მეტი!

თინა გაიჭრა მეორე ოთახში, მაგრამ საწოლზე მიწოლილი და რომ დაინახა, უნებურად გაიღიმა. ნუნუ თოჯინას ჩაჰხუტებოდა და ტკბილად ეძინა.

თინა ფეხაკრეფით გამოვიდა უკან, ხელახლა გადმოალაგა ქაღალდი, წებო, მაკრატელი და ახალი თოჯინის გაკეთებას შეუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩინური ზღაპარი

ვან-დას უყვარდა გართობა და თამაში, ძილი და მოსვენება. ჭამა ხომ უყვარდა და უყვარდა. მხოლოდ შრომა ეჯავრებოდა ძალიან. ვიდრე დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა, არხეინად ცხოვრობდა. მხოლოდ ჩხირებს[1]) ატრიალებდა, ისიც როცა ფლავს სჭამდა. მაგრამ მშობლები გარდაეცვალა. თვითონ ხელის განძრევა ეზარებოდა და ვილას უნდა ერჩინა? სულ მეზობლების კარდაკარ დაწანწალებდა.

დადგა გაზაფხული. მთელი სოფელი დილიდან საღამომდე მინდვრად იყო გასული. ვან-და დაცარიელებულ ქუჩებში დახეტიალობდა. ხან აღმოსავლეთით იზამდა პირს, ხან დასავლეთით და ბოლოს ხეიბარ მებაღეს ხმელა პურის ნატეხს გამოსტყუებდა ხოლმე. დადიოდა ვან-და, საკუთარ თავს ებაასებოდა: ოჰ, ნეტავ ახლა ერთი გემოზე გამაძღოო!..

ერთ შვენიერ დღეს ვან-დას გზაზე მოხუცი გლეხი ჯაო შემოხვდა და ჰკითხა:

— რას ბუტბუტებ, ვან-და?

— რა კარგია ახლა ერთი ზორბად გაძღომა-მეთქი!—მიუგო ვან-დამ.—მაგრამ საჭმლისათვის ფულია საჭირო, ხოლო ფული რომ გქონდეს, მდიდარი უნდა იყო. არ იცი, მოხუცო, როგორ შეიძლება გამდიდრება?

— ვიცი,—უპასუხა ჯაომ,—ამ ერთ მუჭა მიწას ხედავ? გინდა გასწავლო, როგორ გადააქციო ვერცხლად?

ვან-დას სიხარულით თვალები გაუბრწყინდა და შეეხვეწა: მალე მასწავლეო!

— ეს არც ისე იოლი საქმეა,—გააქნია თავი მოხუცმა,—თუ მართლა გულით გინდა ისწავლო, გადმოდი ჩემთან, მხოლოდ ერთი პირობით: რასაც გეტყვი, შეასრულე და შუაგზაზე არ შეჩერდე. თუ სწავლაა, სწავლა იყოს.

[1]) ჩინელები საჭმელს ჩხირებით შეეჭცევიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმავე საღამოს ვან-და ჯაოსთან გადასახლდა. ძილში იმდენი ვერცხლის ფული დაესიზმრა, რომ ვერც კი დათვალა. რა წამს დიდი თეთრი მამალი სახურავზე აფრინდა, ჯაომ ვან-და გააღვიძა და ყანაში წაიყვანა. ჯაო მიწის გაფხვიერებას შეუდგა. ვან-დაც ეხმარებოდა. შეუჩვეველ ვან-დას დაღლილობისგან მუხლები ეკვეთებოდა, წელი სტკიოდა, ხელისგულები უხურდა, მაგრამ ჯაო უყვიროდა: გაიხსენე ჩვენი პირობა, შუაგზაზე არ შეჩერდე, სწავლას ბოლომდე მისდიეო...

გაიარა ორმა თვემ. ვან-და განაგრძობდა მუშაობას, მაგრამ არც მუხლები ეკვეთებოდა და აღარც ხელისგულები ეწვოდა.

შემოდგომაზე მეგობრებმა ბრინჯის კარგი მოსავალი მოიწიეს, გაყიდეს და მთელი ტომარა ვერცხლის ფული აიღეს. ჯაომ ნახევარი ვან-დას უწილადა და უთხრა:

— ახლა ხომ იცი, რომ გამდიდრების მთელი საიდუმლოება ერთ სიტყვაშია — ლაოდუნ—იშრომეო!

მიიღო თუ არა ვან-დამ ფული, სოფლის საფუნთუშეში შეიარა, დაბრაწული ფუნთუშები იყიდა და მებაღესთან მივიდა. ხეიბარმა მებაღემ ვან-დას სინანულით უთხრა:

— ცუდ დროს მოხვედი, დღეს ვერაფრით გაგიმასპინძლდები.

— მაშ ამჯერად მე გაგიმასპინძლდები,— მხიარულად მიუგო ვან-დამ და ფუნთუშები მიართვა.

— როგორც ჩანს, გამდიდრებულხარ, მამის დანატოვარი განძი ხომ არ გიპოვია?— ჰკითხა მებაღემ.

— არა, ეს განძი მოხუცი ჯაოს ყანაში ვიპოვე. ვეცდები, მომავალ წელს ჩემს ყანაშიც მოვნახო. ამისათვის კი საჭიროა მხოლოდ ერთი ჯადოსნური სიტყვა გახსოვდეს: ლაოდუნ—იშრომეო!

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ნახატები გაიოზ ფოცხიშვილისა

6·17/213

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიფი და მისი სახლი

(ფრანგულიდან)

1. კუ კაროღინა ბაღში დასეირნობდა. დაინახა პიფმა და შესძახა:

— ამას დამიხედეთ, სახლი ზურგზე რომ შეუდგამს და თან მოაქვს! რა იქნება მეც ეგრე მოვიქცე?



2. აი, ახლა კი სულ შინ გახლავართ!

ნახატი **ვ. სეგეევისა**

ყდის მხატვრობა ეკუთვნის **ი. გაბაშვილს**

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, ზაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამოცემის ოცდამეცამეტე წელი ფასი 2 მან.

ტექ. რედაქტორი ი. არდიშვილი რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

„ნაკადული", რედაქციის მისამართი: ფილისი, პლეხანოვის პროსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 385, სტამბის შეკვ. № 1796 ტირაჟი 26000 ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VI 1960 წ. ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина № 8, август 1960 г. Тбилиси, просп. Плеханова 91.